საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 22 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ფულ ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული აგრეთვე უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 277 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 277

სახელმწიფო თეატრი — სეზონი 1918-19 წ.

ქართული სამუსიკო საზოგადოება
ორშაბათს, 30 დეკემბერს, გაიმართება

ეროვნული კონცერტი პროგრამა შესდგება დ. არაყიშვილის თხზულებიდან

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ქ ო. ა. შულგინა, ე. ა. ხორინა, ბ. ბ. ივ პ. სარაჯიშვილი, ფ ნ. პოლიაევი და სიმფონიური ორკესტრი ავტორის ლოტბარობით

სამშობლოს დამცველ მეომართა სასარგებლოდ

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

სახელმწიფო თეატრი — სეზონი 1918-19 წ.

საქართველოს პარლამენტის სოც.-დემ. ფრაქცია აუწყებს ამხანაგ-მეგობრებს პარლამენტის წევრის ამხ.

**სანდრო მაისურაძის**

გმირულ სიკვდილს.

---

საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი და გაზ. „ერთობის" რედაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს გმირულათ სიკვდილს ამხ.

**სანდრო მაისურაძისას.**

---

უდროოდ დამწუხრებული და გაუბედურებული მეუღლე ელენე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ და ამხანაგებს ძვირფასი მეუღლის

**ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 19 დეკემბერს სომხის მოღალატე ჯართან შეტაკების დროს.

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელენე, დები: სონა ნაზიკრიშვილისა, ანნა ნაცვლიშვილისა, ძმა ლევანი, სიძე შაქრო ნაცვლიშვილი, რძალი მარო, სიდედრი დესპინე, შვილები: ნინა და ჟორა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს ძვირფასი

**ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძის**

გარდაცვალებას, რომელიც გმირულათ მოკლულ იქნა 19 დეკემბერს სომეხთა ჯართან შეტაკების დროს. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნიკოლოზის ქუჩა, № 85.

---

სახალხო გვარდიის უმთავრესი შტაბი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგ მეგობრებს შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის

**სანდრო მაისურაძის**

ტრაგიკულ გარდაცვალებას, რომელიც უდროოდ და გმირულათ დაეცა ბორჩალოს ბრძოლის ველზე 19 დეკ. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა კესარია ფიფიას ასული, ძმები: ალექსი, ჟუნდა, ჟუჟუ, ზიბედე გოგიასძენი, დები: ვარვარა, ცაცუ და კაკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**სტეფანე გოგიას ძე გაბაღუას**

გარდაცვალებას, რომელიც იქნა ვერაგულათ მოკლული ბაღდადის მთაზე „მილიონილაში" 7 სექტემბერს 1918 წ. ტირილის და უკანასკნელად გამოთხოვების დღე დანიშნული არის 8 დეკემბერს 1918 წ. ძველი სტილით სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (8—8)

---

გულდამწვარი დედა ბარბალე, ძმები იოსები და ივანე, დები ნინა და მარიამ გობეჩიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 22 დეკემბერს, 12 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება საყვარელ და დაუვიწყარ

**ვლადიმერ პავლეს ძე გობეჩიას**

ნახევარი წლის პანაშვიდი. (2—2)

---

საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს

**ამხ. სანდრო მაისურაძის**

გმირულ სიკვდილს (1—1)

---

## რა მოგვცემს ზავს?

საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომ 19 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: 1) გამოსთქვას კატეგორიული პროტესტი სისხლის ღვრის წინააღმდეგ, 2) წინადადება მიეცეს სომხეთის და საქართველოს მთავრობებს შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება და ჩამოაგდონ ზავი რა ფასადაც უნდა დაჯდეს, 3) წინადადება მიეცეს მებრძოლ მთავრობებს დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას საქართველო-სომხეთის კონფერენცია ყველა სადაო საკითხების გადასაწყვეტად.

ამ ნაირად, სომეხთა ეროვნული საბჭო, რომელიც უმთავრესად დაშნაკელებისაგან შესდგება, კატეგორიულ პროტესტს აცხადებს სისხლის ღვრის წინააღმდეგ, საბჭო, რომლის დაშნაკური ნაწილი და მიმდევრები იდეურ ხელმძღვანელობას უწევდენ თფილისიდან ერევნის ავანტიურისტებს, დღეს სისხლის ღვრას ჰგმობენ. დაშნაკელები, რომელნიც „ჰორიზონ-აშხატაორში" სასტიკად ილაშქრებდენ კონფერენციის წინააღმდეგ, დღეს სწორედ კონფერენციის მოწვევას მოითხოვენ.

თავის თავად იგულისხმება, რომ სომხეთის ეროვნულ საბჭოს მიერ წამოყენებული დებულებები პრინციპიალურად მისაღებია. საბჭოს უმრავლესობასაც კარგათ აქვს გათვალისწინებული ეს გარემოება და ამ დემოკრატიულ მოთხოვნილებების წამოყენებით სცდილობს ის თვალი აუბას დემოკრატიას და საქმის ნამდვილი ვითარება ბურუსში გაახვიოს. საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭო ამათ სცდილობს სომხეთის დანაშაული დაჰფაროს და ამიტომ ერთნაირად სძრახავს როგორც ერთს, ისე მეორე მთავრობას.

დემოკრატია კარგათ იცნობს დაშნაკელების ორპირ პოლიტიკას და ის მათს ანკესზე არ წამოეგება. ჩვენმა დემოკრატიამ კარგათ იცის, რომ საქართველოს მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა საქმის მშვიდობიანის გზით მოსაგვარებლათ. ამიტომ იყო, რომ ჩვენი მთავრობა სომხეთის მთავრობას ასე დაჟინებით იწვევდა კონფერენციაზე.

საქართველოს მთავრობას, რომელიც საქართველოს დემოკრატიის ნების გამომხატველია, დღესაც ზავი სწყურია, ჩვენი მთავრობა ცდილობს აღადგინოს ის კეთილ-მეზობლური განწყობილება, რომელიც ათას წლობით არსებობდა ქართველ-სომეხთა შორის. მაგრამ ამ მიზნისთვის სრულიად გამოუსადეგარია ის გზა, რომელსაც სომეხთა ეროვნული საბჭო გვიჩვენებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ერევნის ზინვორულ მთავრობასთან, რომელიც შეუზღუდავათ ბატონობს შეუგნებელ და ორგანიზაციულათ შეუკავშირებელ სომხის ხალხზე. ასეთს მთავრობასთან ზავის შეკვრა ეს იქნებოდა სისხლის ღვრის დროებით შეჩერება, რასაც სულ მალე მოჰყვებოდა ახალი და კიდევ უფრო საშინელი სისხლის ღვრა. ამიტომ მკვიდრი ზავის ჩამოსაგდებად და სომეხ-ქართველთა შორის ძმურ ურთიერთობის აღსადგენად საჭირო დამარცხება იმ პარტიისა, რომელმაც ეს სისხლის ღვრა გამოიწვია. სადაც არ მოქმედებს სიტყვა და გონიერება, იქ უნდა ამუშავდეს ხმალი და რადგან სომხის ხალხს ჯერ კიდევ ვერ მოუშორებია თავიდან დაშნაკელების უღელი, და მათი დამღუპველი პოლიტიკა, ამიტომ მხოლოდ ამ მთავრობის იარაღით ჩამოგდებით შეიძლება შეიქმნას ისეთი პირობები, როცა ამ ავანტიურისტების გავლენა მოისპობა.

დემოკრატია მუდამ ზავს ეტრფის. მით უმეტეს საჭიროა ჩვენთვის ზავი მეზობელ სომხის ერთან. ნამდვილი ზავი კი მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიკრას, როცა ომის გამომწვევი ძალა გაჰქრება. და თუ სომეხთა ეროვნულ საბჭოს მართლა ზავი სურს, ის დაშნაკელების წინააღმდეგ უნდა ამხედრდეს. და მაშინ ჩვენი მისწრაფებაც ზავისადმი ადვილათ განხორციელდება ორთავე სახელმწიფოს დემოკრატიების საკეთილდღეოთ.

## ერიდეთ ექსცესებს

სომხეთის რესპუბლიკა წ ნასწარ ემზადებოდა ომისთვის, ეს დღეს აშკარაა. სომხის ზოგიერთი ელემენტები თფილისში მას აშკარათ თუ ფარულათ ხელს უწყობდნენ, ამაშიც ეჭვის შეტანა დღეს შეუძლებელია. მიზანი სომხეთის ავანტიურისტებისა ისაა, რომ თფილისი დაშნაკელებს მისცენ ხელში და ამით საქართველოს დემოკრატია სამუდამოთ დაასამარონ.

ამიტომ არის, რომ სომხის ჯარს რუსის შავრაზმული აფიცრები ხელმძღვანელობენ.

ყველა ეს ფაქტია.

ფაქტია ისიც, რომ ამ ნიადაგზე საზოგადოების ფართე წრეებში დიდი აღელვება სუფევს. მოღალატისადმი ზიზღი ბუნებრივი მოვლენაა და ეს ზიზღი დღეს ნაღველით, ბრაზით შეზავებული, შეიძლება ისეთი სახით გადმოინთხეს, რომელიც თვით საქართველოს დემოკრატიას მოსცხებს ჩირქს. ჩვენ ვამბობთ ექსცესებზე. ექსცესები ველურობის, უკულტურობის ნიშანია, ხალხის შემარცხვენელია.

საქართველოს დემოკრატია ყოველთვის ებრძოდა ასეთ ექსცესებს, აქრობდა მათ. შუაში უდგებოდა სომეხ თათართა ჟლეტის დროს ამ გაბოროტებულ ერებს, რომ ერთა სოლიდარობის იდეა დაეცვა.

დღეს ჩვენ ვებრძვით სომხეთის რესპუბლიკას, რომელიც თავს დაგვესხა. მთავრობა მიიღებს ზომებს, რომ ვინც თფილისში ან სხვაგან მავნე ელემენტია, სომხეთის ჯარის ხელის შემწყობია—დააპატიმროს, გაასალკოს, უვნებელი გახადოს; ვისაც დანაშაული მიუძღვის, შესაფერად დასაჯოს. თუ ეს არ მოიმოქმედა, ჩვენ შეგვიძლია მოვთხოვოთ მას. ის ხომ ჩვენი არჩეულია და ჩვენს ხმას უყურადღებოთ ვერ დასტოვებს.

მაგრამ თვითგასამართლებას კი ადგილი არ უნდა ჰქონდეს. საქართველოს დემოკრატია, მისი უმწიკვლო დროშა არ უნდა შეილახოს. ნაციონალისტები, შოვინიზმით გატაცებულნი, შეუგნებელი ელემენტები, ქუჩის მაწანწალები შეეცდებიან დარბევის მოწყობას, რომ ცარცვა-გლეჯა გააჩაღონ. ჩვენ ვაცხადებთ, შეგნებული, შეკავშირებული დემოკრატი ასეთ შავი ძალების წინააღმდეგ უსასტიკეს ზომებს მიიღებს.

ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მთელ განათლებულ კაცობრიობას, რომ ვიცით ომიც, მაგრამ ვიცით ადამიანის, კულტურის პატივისცემა, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით „პოგრომშჩიკებთა" ნაციას, არამედ, გაევროპიელებულ ხალხს.

ერიდეთ ექსცესებს, დაიცავით წესიერება. ვისაც ძალა შეგწევთ და ბრძოლის ხალისი გაქვთ, მიეშველეთ ჯარს, ჩაეწერეთ მოხალისეთა რაზმში. ხოლო ვინც ჯარში ჩაწერას გაურბის და დარბევას მოაწყობს, ის ჩვენი მტერია და შესაფერ სასჯელსაც მიიღებს.

## პრესა

„მშაკი" (№ 262) სწერს:

„უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამ შეტაკებაში დაზარალდება არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ—ორჯერ და ოთხ ჯერ მეტად—სომეხი ხალხი. სომეხ ხალხს უწერია ამ ახლო მომავალში განცალკევებულათ იცხოვროს ამიერ-კავკასიაშიც და ოსმალეთშიაც. უდაოა ის ფაქტი, რომ ეს განცალკევება დიდ დაბრკოლებას შექმნის ჩვენი კულტურული და პოლიტიკური განვითარებისთვის ახლო მომავალში.

„ჩვენ პესიმისტები არა ვართ. პირიქით, დარწმუნებული ვართ, რომ ეს დაბრკოლება შეიძლება ძალიან შევასუსტოთ, ან სავსებით ავიცდინოთ. და ეს მოხდება კლასიური ბრძოლის საშუალებით სომხეთში. ყველა ის რეაქციონური ძალები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ აქამდე სომხის ხალხს და რომელთაც თავიანთი ავანტიურით და აგრესიული პოლიტიკით მიიყვანეს სომხის ხალხი უფსკრულის პირად, ეს ძალები უნდა განიდევნონ სომხური ასპარეზიდან სომხური ჭეშმარიტ დემოკრატიის ერთხმულოვანი ძალებით.

„ომი თუ ზავი? ამ საკითხზე ორი პასუხი არ შეიძლება. საჭიროა, რომ რაც სომხობაში ნამდვილი, გულწრფელი და მშვიდობიანობის მომსურნე ძალები არსებობენ, რომელთაც კარგათ შეგნებული აქვთ ამ ავანტიურისტულ შეტაკებების შედეგები სომეხ ერისთვის, უნდა შეერთდნენ და ბრძოლის მოყვარე ავანტიურისტებს ხელებიდან გამოგლიჯონ ყველა საშუალება ამ ომის გაგრძელების საქმეში.

„ზავი, დაუყონებლივ ზავი და არა ომი!"

თუ სომხის დემოკრატიული ნაწილები გულწრფელათ დაადგებიან „მშაკის" მიერ ნაჩვენებ გზას, მათ უნდა იცოდენ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ძალაც სწორეთ აქეთკენ არის მიმართული: იგი ებრძვის მხოლოდ სომხეთის მთავრობის „დაშნაკურ" პოლიტიკას. ამ პოლიტიკის დამარცხებაა მისი მიზანი ამ ომში და იგი დარწმუნებულია, რომ კავკასიის ერთა და თვით სომხის ხალხის მშვიდობიანობისათვის და კეთილმეზობლობის დასამყარებლათ აუცილებლათ საჭიროა სწორეთ „დაშნაკელთა" პოლიტიკის ალაგმვა. ამ საქმეში თვით სომხის დემოკრატიამ უნდა დაუჭიროს მხარი საქართველოს დემოკრატიას. ჩვენ ვაცხადებთ, რომ „დაშნაკელთა" მთავრობის დამარცხებას ჩვენი დემოკრატია არ გამოიყენებს სომხის დემოკრატიის საზარალოთ. პირიქით, „დაშნაკელთა" დამარცხება ჩვენ გვინდა სომხის დემოკრატიის აღსადგენათ, გასაძლიერებლათ და გასაბატონებლათ სომხის ერში.

## საქართველო-სომხეთის ომი

**ტრამვაის მუშების აზრი.**

თფილისის ტრამვაის სახელოსნოში სანაინში მომხდარი ამბების შესახებ ზოგიერთ მუშებისა, სომხისა და ქართველ ხელოსნებს შორის მოხდა შეხლა-შემოხლა საქართველოსა და სომხის მთავრობათა მოქმედებაზე. საკითხი გადაეცა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ფრაქციას, რომელმაც გაარჩია რა ის, წინადადება მისცა სომეხ სოციალ-დემოკრატებს, ამ ამბების დანაშაულობის სავსებით გამოსარკვევათ შეთანხმებოდნენ „დაშნაკცუტიუნის" პარტიის საერთო შეერთებული კრების მოსაწვევათ, რომელზედაც მოწვეულ უნდა ყოფილიყო სომხის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელი და საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი. კრებაზე დასწრებაზე თანხმობა გამოაცხადეს როგორც საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა, ისე სომხის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელმა. არჩეულმა კომისიამ მიმართა ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს, შეკრებილიყვნენ 19 დეკემბერს დღის 12 საათზე საერთო კრებაზე. დანიშნულ დროს საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი ამხ. გეგეჭკორი და სომხის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელი იაგჯიანი მოვიდნენ ტრამვაის პარკში, სადაც შეკრებილი იყო 1000 კაცამდე ამხ. შევჩუკის თავმჯდომარეობით.

ამხ. გეგეჭკორის მოხსენების, იაგჯიანის ცნობისა და სხვა წარმოთქმული სიტყვების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„თფილისის ტრამვაის მუშებმა და მოსამსახურეების საერთო კრებამ მოისმინა რა ცნობა სომხეთის საზღვარზე მომხდარი ამბების შესახებ, პროტესტს აცხადებს სომხის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, რომელმაც არ მოისურვა სადავო კითხვების მშვიდობიანათ გადაჭრა და ფიქრობს, რომ ამ ძმათა შორის სისხლის ღვრის შესაწყვეტად აუცილებელი საჭიროა: დაუყონებლივ შესწყდეს სამხედრო მოქმედება; გაყვანილ იქნას ორივე მებრძოლ სახელმწიფოთა ჯარები ძველ საზღვრებში, სადაც შეტაკებამდე იდგნენ; დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს სომხეთ-საქართველოს კონფერენცია, რომ სადავო კითხვები მშვიდობიანი გზით იქნეს გადაჭრილი; დანიშნულ იქნეს ამ კონფერენციის დრო, თუ ამ დროში შეთანხმება არ მოხდა, მაშინ საკითხი გადაწყდეს საერთაშორისო არბიტრაჟის საშუალებით. ამასთანავე კრება აუცილებელ საჭიროთ სთვლის, ამ შეტაკების ნამდვილ დამნაშავეთა გამოსარკვევათ დანიშნულ იქნას საერთაშორისო გამოძიება, რომ დამნაშავემ გადაიხადოს ამ შეტაკების დროს მომხდარი ზარალი. საქართველოს მთავრობას მისცა ასეთი წინადადება სომხეთის მთავრობას და თუ ეს მან არ მიიღო, მაშინ გამოდის რომ სომხის მთავრობა სცდილობს რათაც არ უნდა დაუჯდეს სისხლის ღვრა და ომი ხალხთა შორის განაგრძოს. ამისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება სომხის მთავრობას და მთელი ძალღონით მხარი დაუჭიროთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ბრძოლაში მათ წინააღმდეგ, რომლებმაც ერთად ერთ დემოკრატიულსა და ერთადერთს დემოკრატიისათვის მისაღებ მშვიდობიან შეთანხმებას არჩია შეიარაღებული ძალით სადავო კითხვების გადაწყვეტა".

---

**მუსულმან სოციალისტების მილოცვა.**

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე ბაქოდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: ბაქო, 19 დეკემბერი. „იმ დროს, როცა მთელი ქვეყნის დემოკრატია და აგრეთვე მთელი ქვეყნის იმპერიალისტური მთავრობები, ოთხი წლის ომის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველა სადავო საკითხი იარაღით კი არა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს

20 დეკემბერს, დილის 7 საათზე ჩვენმა ჯარმა ახალქალაქის მიმართულებით დაამარცხა მტრის ჯარი. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა მოკლული 3 აფიცერი და 100 მეტი ჯარის კაცი. ტყვეთ წამოიყვანა ჩვენმა ჯარმა 1 აფიცერი, 50 ჯარის კაცი. 19 დეკემბერს ეკატერინენფელდთან ბრძოლის დროს მტერს მოუკლა ჩვენმა ჯარმა 230 ჯარის კაცი, 6 აფიცერი, წაართვა 300 თოფი, 1 ტყვიის მფრქვეველი და ტელეფონი. ჩვენს სახალხო გვარდიას მოუკლეს ამ ბრძოლაში 30 კაცი.

---

ბათუმში მოვიდა ამერიკის მისია პროფესორ ჯატსენის მეთაურობით და ეხაუბრა ჩვენს წარმომადგენელს. მოვიდა აგრეთვე ინგლისის მისიის ნაწილი ჩვენმა წარმომადგენელმა პროტესტი განუცხადა ინგლისის წარმომადგენელს სომხეთის ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიის გადმოლახვის გამო.

---

თფილისის საგანგებო სასამართლოში გუშინ ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გარჩევა დაიწყო.

---

მთელი ქვეყნის ტრიბუნალის არბიტრაჟმა უნდა გადასჭრას, იმ დროს, როცა კავკასიის დემოკრატია იძულებულია მოიკრიბოს ძალ ღონე თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწყობათ, რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლების დასაცავათ, ამიერ-კავკასიაში ხდება ისეთი ამბები, რომელიც მეზობელ ხალხთა დემოკრატიას დაღუპვას უქადის. სანაინის და ყარაბახის ამბები, სადაც ცეცხლმა და მახვილმა მოიცვა რამდენიმე სოფელი, ნადგურდება ხალხის ქონება, შეუბრალებლათ იხოცებიან მოხუცნი, ბავშვები და ქალები, შედეგია იმ ავაზაკურ ელემენტების მოქმედებისა, რომელნიც ასეთი გზით ცდილობენ გადასჭრან სადავო საკითხები. ადერბეიჯანის სოციალისტური დემოკრატია ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ ყველა სადავო საკითხი ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის იარაღით კი არა, შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. ახლა, როცა ისევ იღვრება სისხლი მოძმეთა შორის, ნადგურდება მთელი რაიონები და ილიტება მშრომელი ხალხი, ჩვენ, ადერბეიჯანის სოციალისტები პროტესტს ვაცხადებთ მოძალადეთა მოქმედებაზე, რომელნიც საფლავს უთხრიან დემოკრატიის გაერთიანებას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ჩვენ მოუწოდებთ ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს მიიღონ გადაჭრილი ზომები, რომ ბოლო მოეღოს მოძმეთ სისხლის ღვრას და მოუწოდებთ სომხის და საქართველოს დემოკრატიას მედგრათ შეკავშირდენ ჩვენთან მშრომელი ხალხის მტრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ საშუალება არ მიეცეთ ავაზაკურ ელემენტებს დაღვარონ ხალხის სისხლი და დაარღვიონ ამიერ კავკასიის დემოკრატიის მთლიანობა.

მაჰმადიანთა სოციალისტური ბლოკი, სოციალ დემ. მენშევიკების მუშათა პარტია „ჰუმეტი".

---

ამა წლის 19 დეკემბრის საქართველოს რკინის გზის სტამბის მოსამსახურე სოციალ დემოკრატთა (ქართველები, სომხები და რუსები) კრებამ რიცხვით 60 კაცმა მოისმინა რა ამხანაგ მანხანოვსკის მოხსენება სანაინის ამბების შესახებ, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„დემოკრატიის მტრები ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტების ხელმძღვანელობით ისწრაფიან ორი მეზობელ ხალხთა შორის— საქართველო და სომხეთი, რომლებიც საუკუნეებით განუყრელ მეგობრულად სცხოვრობდნენ, სიძულვილი დაბადონ.

მუშათა კლასი პროტესტს უცხადებს ბურჟუაზიულსა და ნაციონალისტურ წრეებს, რომელთაც სურთ ცეცხლითა და მახვილით გადასჭრან შექმნილი ინციდენტი და მოითხოვს თავისი წარმომადგენლისაგან მთავრობაში უკანასკნელ საშუალებამდე ეცადოს კონფლიქტის მშვიდობიანათ გადაჭრისათვის, ვინაიდან ამ ძმათა შორის ბრძოლის შედეგათ შეიძლება დემოკრატიაც სისხლიდან დაიცალოს, ჩვენს შინაურ ცხოვრებაში გარეშე ძალა ჩაერიოს და რეაქციამ და კონტრ რევოლიუციამ გაიმარჯვოს. თუ მას შემდეგ, როცა ყოველი ღონე ნახმარი იქნება კონფლიქტის მშვიდობიანათ მოგვარებისათვის, ჩვენი დემოკრატია მაინც სამხედრო მოქმედებას ვერ ასცდება, მაშინ მთელი ჩვენი მორალურ და ფიზიკურ ძალას აღვუთქვამთ რესპუბლიკის ინტერესების, საზღვრებისა და საქართველოს დემოკრატიის დასაცავად, რომელიც ეყრდნობა თავის მოქმედებაში განურჩევლად ეროვნებისა, დემოკრატიულ საქართველოს მუშებსა და გლეხებზე.

# ბრძოლის ველი

(სამხედრო შტაბის ცნობა)

20 დეკემბერს, დაახლოვებით დილის 7 საათზე, ახალქალაქის მაზრაში მტერმა ზარბაზნებიდან დაგვიშინა და ჩვენს პოზიციას შემოუტია. ბრძოლამ 12 საათამდე გასტანა. ბრძოლა მტრის დამარცხებით დასრულდა. მოწინააღმდეგე გაიქცა. თოვლის და ქარბუქის გამო მტრის დევნა ვერ განვაგრძეთ. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა მოკლული 3 აფიცერი და 100-ზე მეტი ჯარისკაცი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი, 50 ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი, მრავალი თოფი და ტყვია.

სომხეთა ის რაზმი, რომელიც ჩვენ გვიტევდა, შესდგებოდა არტილერიიდან, ცხენოსან და ქვეითი ჯარისგან.

დამატებითი ცნობების თანახმად 19 დეკემბერს ეკატერინენფელდთან ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 300 თოფი, 1 ტყვიისმფრქვეველი და ტელეფონი.

ეკატერინენფელდი. 20 დეკემბერი. ღამემ მშვიდობიანათ ჩაიარა. ეკატერინენფელდთან დამარცხებულ სომხეთის სამხედრო ნაწილებში მოკლულია 6 აფიცერი და 230 ჯარისკაცი. დაჭრილების წაყვანა მოასწრეს, რასაც მოწმობს სისხლიანი კვალი გზაზე, რომლითაც სომხები უკან იხევდენ.

სახალხო გვარდიას მოუკლეს 30 კაცი.

### ბორჩალოს ფრონტი

(მხედრის დღიურიდან)

...დაჭრილები სადახლოში მოვიყვანეთ, ჩვენ კი ზევით, აირუმისაკენ გავემგზავრეთ.

სადახლოდან 5—6 ვერსის მანძილზე, რკინის გზის მარჯვნივ, გორაზე არარატის რესპუბლიკის დროშა ფრიალებს. არის ჯარიც ერთი ტყვიისმფრქვეველით. დაბლა ადგილი ჩვენს ჯარს უჭირავს.

ჩვენ გორაკს ყუმბარები დაუშინეთ, ყუმბარები საუცხოვო სისწრაფით სქდება და სომხების ტყვიისმფრქვეველი ჩავაჩუმეთ.

დაღამდა. მოიყვანეს პირველი ჩვენი დაჭრილები, ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ჩვენ ყუმბარების სროლით ვეხმარებით.

18 დეკემბერი.

ჩამოვიდნენ ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე. აქ მყოფი ჩვენი ჯარის სულიერი განწყობილება კარგია, მაგრამ უკეთესი იქნება ამიერიდან.

საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, როცა მარჯვნივ სროლა მოისმა. ჩვენ გავიწიეთ ზევით, გორაკიდან ჩვენი მცირე რაზმი ისროდა. შემდეგ არეულად უკან დაიხია. ჩვენ მზად გვქონდა ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები, მაგრამ სროლას ვერიდებოდით რა ხდებოდა ჩვენ წინ. უცბათ გამოჩნდა „ცეპი". წინ მედროშე მოდიოდა დროშით. „ცეპი" წინ მოიწევდა „ურას" ძახილით. ჩვენ მსროლელთ ვერ ვხედავდით,— ჩვენები არ იყოს და არ დავხოცოთო. როცა დავინახეთ, რომ ისინი სახლებთან მყოფ ჩვენს ჯარს ესროდენ, დავრწმუნდით, რომ ისინი სომხები იყვნენ და ტყვიის მფრქვეველებიდან დავუშინეთ.

„ცეპი" დაწვა თოვლზე და არც ამდგარა. როცა შესწყდა სროლა, ჩვენებმა ტყვეთ წამოიყვანეს 150 კაცამდე ორი აფიცრით —მათ შორის ერთი რუსი—პორუჩიკი. დახოცილდაჭრილთა რიცხვი 70—80 კაცამდეა. მხოლოდ 5—6 მოასწრო გაქცევა, მაგრამ საეჭვოა მოასწრო თუ არა, რადგან მათ დაედევნენ ჩვენი ჯარისკაცები.

ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

თავდასხმა ისეთი მოულოდნელი და ისეთი სწრაფი იყო, რომ ჯავშნოსანი რომ იქ არ ყოფილიყო, მტერი სადახლოში იქნებოდა. ეს ბრძოლა სადგურიდან ნახევარი ვერსის მანძილზე სწარმოებდა.

აღსანიშნავია ერთი რამ: მარცხენა მხარე ეჭირა თათარ მილიციონერებს, რომელნიც გმირულად იბრძოდენ და დიდი დახმარებაც გაგვიწიეს.

19 დეკემბერი.

ვნახე სომხები დახოცილები, საშინელ სანახაობას წარმოადგენენ: მათი რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე მეგონა.

საღამო ხანს მოგვივიდა ცნობა; ჩვენს გმირს სახალხო გვარდიას საშინლად დაუმარცხებია სომხების ჯარი. ჩვენის მხრითაც არის ზარალი. მოუკლავთ ამხანაგი სანდრო მაისურაძე. ამ ცნობამ და აგრეთვე სხვა ამხანაგ გვარდიელების დახოცვამ ძლიერ დაალონა ჩვენი რაზმი.

ჩვენშა გამარჯვებამ ჯარი სულიერათ გაამაგრა.

სანდროს და სხვა დაკარგულთ ჩვენი ამხანაგების სისხლი არ დარჩება აუნაზღაურებელი.

ე. ბარცხანელი.

# ბათუმში

ბათუმი. 20 დეკემბერი (საკუთ. კორესპ.) გუშინ აქ ჩამოვიდა ამერიკის მისია, რომელსაც თავმჯდომარეობს ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი დ-რი ჯატსენი. ჩვენმა წარმომადგენელმა ინახულა ჯატსენი და საქართველოს მთავრობის სახელით მემორანდუმი გადასცა. საუბრის დროს იგი მრავალ საკითხებს შეეხო ჩვენს შესახებ. დიდხანს შეჩერდა სოციალურ კითხვაზე, მიწათ მფლობელობაზე, ჩვენს სამხედრო ძალასა და მის თვისებაზე, გვარდიაზე, მთავრობის შემადგენლობაზე, ინტერნაციონალისადმი მიმართულ წერილზე, ხელფასზე, შრომის პირობებზე და გაკვირვება გამოსთქვა დიდ ჯამაგირებზე და იმ მძიმე პირობებზე, რომელშიაც იმყოფება კაპიტალი ჩვენში. იკითხა ჩვენი მიზნების შესახებ, თუ რამდენათ შეუძლიან ჩვენს ჯარს წინააღუდგეს ბალშევიკებს, თუ შემოესიენ ისინი საქართველოს. ჩვენი წარმომადგენლის ყველა ამაზე პასუხით პროფესორი კმაყოფილი დარჩა და განუცხადა, რომ ამერიკა და ინგლისი მეგობრები არიან და რომ მთელ ქვეყნიერებაზე წესრიგის დამყარების საქმეში მათ შორის თანხმობა და სოლიდარობაა. ბოლოს მან აღუთქვა წარმომადგენელს, რომ საქართველოს საჭიროებას და იმედებს ფართოდ გააცნობს ევროპას. 16 დეკემბ. ჩამოვიდა ინგლისის რამდენიმე ხომალდი, რომლითაც ინგლისელთა მისიის ნაწილი ჩამოვიდა. მისიის თავმჯდომარეს და ჯარს ამ რამოდენიმე დღეში მოელიან. სომხებთან შეტაკების გამო საქართველოს წარმომადგენელმა წარუდგინა ინგლისის წარმომადგენელს ნოტა, რის შემდეგაც საგანგებო მატარებლით საჩქაროდ გაემგზავრა თფილისს სომხეთის წარმომადგენელი ჯამალიანი, რომელიც იმ ჟამათ აქ იმყოფებოდა. დღესვე გადაეცა ინგლისის წარმომადგენელს პროტესტი საქართველოს ტერიტორიის სომხეთის ჯარის მიერ გადალახვის გამო, აგრეთვე ნოტა პირდაპირ მატარებლების მიმოსვლის შესახებ ბათუმის და თფილისის შორის. მოვიდა გემი „ჩერნომორი", რომელიც მოხალისეთა ჯარის კუთვნილებას შეადგენს. ჩამოიყვანა 800 ლტოლვილი, ამათგან 60-მდე რუსია დანარჩენი სომეხი (ს. დ. ს.)

# ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე

საქმის გარჩევა დაიწყო თფილისის საგანგებო სასამართლოში 21 დეკემბერს.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ივ. ჯაფარიძე, წევრნი: სილიბისტრო ჯიბლაძე და კარასიევი.

საქმის გარჩევას დიდძალი გარეშე საზოგადოება ესწრება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დამსწრეთა შორის დიდ უმრავლესობას შეადგენენ ქალები. უბილეთობის გამო ბევრი უკან დაბრუნდა. საქმის გარჩევას ესწრებიან პარლამენტის ზოგიერთი წევრნი. დაესწრნენ აგრეთვე ინგლისის მისიის წარმომადგენლები.

სასამართლოს სხდომა იწყება 11 საათზე.

ბრალდებულნი არიან 1) გიორგი ლეონიდეს ძე შმაგაილოვი—43 წ. ქ. ტულის მცხოვრები (სამხედრო ინჟინერი), 2) მიხეილ, იგივე ხარქის სტეფანეს ძე კუჩარიანცი (სლესარი, აგრეთვე სომხის ეროვნულ ხაბჭოს ავტომობილების გამგე) ბორჩალოს მაზრის მცხოვრები. 3) აკოფ არუთინის ძე კირულიანცი, ერევნას გუბერნიის, ერევნის მაზრის მცხოვრები.

ბრალს სდებს ჩხატარაიშვილი. იცავენ: ზელენსკი, პოპოვიანი და ეპშტეინი.

სამივე ბრალდებულს ბრალი ედება ძეგვის ხიდის აფეთქებაში რკინის გზის მოძრაობის შეწყვეტის მიზნით.

კუჩარიანცის დამატებითი ბრალდება ისაა, რომ მან შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია კომისარს და მილიციონერებს შეპყრობის დროს.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზამ წარმოადგინა სამოქალაქო საჩივარი 216,520 მანეთის ზარალის მიყენებისა. რკინის გზის საჩივარს იცავენ: პოტემნია, დემიდოვი და სხვები.

სასამართლომ რკინის გზის საჩივარი მიიღო.

დამცველები მოითხოვენ საქმის გადადებას, რადგანაც ზოგიერთი მოწმეები, რომელთა ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, არ გამოცხადდნენ.

ბრალდებული წინააღმდეგია გადადების. სასამართლო სათათბიროს ოთახში მიდის. სხდომის განახლებისას სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ საქმის გარჩევა გრძელდება.

თავმჯდომარე კითხულობს საბრალმდებელო ოქმს.

თავმჯდომარე: შმაგაილოვო! თქვენ მოისმინეთ საბრალმდებლო ოქმი. სცნობთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავეთ ძეგვის ხიდის აფეთქებაში?

გიორგი შმაგაილოვი აცხადებს, რომ მან მიიღო აქტიური მონაწილეობა ძეგვის ხიდის აფეთქების ორგანიზაციულად მოწყობაში. წინასწარ გამოძიების დროს ვერ შესძლო დაწვრილებით ეთქვა ყველაფერი, რადგანაც ხელფეხს უბორკავდა ინგლისის მისიის წარმომადგენლებთან დადებული პირობა. ახლა კი პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა და შეუძლია ყველაფერი სთქვას. ბრალდებული დიდხანს ლაპარაკობს, თავის სიტყვაში ის ხაზს უსვამს იმ პირობებს, რომლებმაც მასში განამტკიცეს გერმანიისადმი სიძულვილი. მოგვითხრობს იმას, თუ როგორ გახდა მოკავშირეთა აგენტათ. საქართველოში გერმანელების შემოსვლის შემდეგ მას დავალებული ჰქონდა ინგლისის მისიისაგან ხელი შეეშალა გერმანელებისათვის აქედან სხვადასხვა სურსათის, სამხედრო მასალის გაზიდვაში.

სამის ნახევარზე თავმჯდომარემ 5 წუთით შესწყვიტა სხდომა შესასვენებლათ. დაწვრილებით შემდეგ.

# ახალი ამბები

✦ **ბრძოლაში დახოცილთა გამოსვენება.** გუშინ, დილის 4 საათზე თბილისში ჩამოასვენეს გმირულათ ბრძოლაში დაღუპული ამხ. სანდრო მაისურაძისა და 30 გვარდიელთა გვამები.

✦ **დიპლომატიური მოლაპარაკების შეწყვეტა.** თანახმად სომხების ჯარების უფროსის დროსაგან მთავრობის მიერ მიღებულ ცნობისა, რომ სომხის ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები სომხის მთავრობის ბრძანებით, საქართველოს მთავრობამ იცნოეს აქტი პირდაპირ ომის გამოცხადებათ და სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში გადასცა ნოტა, რომ ამიერიდან საქართველოსა და სომხეთს შორის ყოველივე დიპლომატიური მოლაპარაკება შეწყვეტილია.

✦ **დაპატიმრება.** მილიციის უფროსის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ 3 თვით ქ. მირზოიანცი, ა. ხაჩატურიანცი, როგორც მავნე პირნი საზოგადო მყუდროებისათვის.

✦ **დამცველი რაზმის შედგენა.** მილიციის უფროსმა წინადადება მისცა თავის თანაშემწეს მოგილევსკის, რჩეულ მილიციონერებისაგან შეადგინოს დამცველი რაზმი.

✦ **შტატის გადიდება.** მილიციის უფროსის განკარგულებით მილიციის შტატი გადიდებულ იქნა 10 უფროს მილიციონერებით და 6 უმცროსით.

✦ **თფ. რეალ. სასწავლებლის ქართველ** მოწაფეთა ორგანიზაცია აუწყებს საზოგადოებას, რომ ლიტერატურულ წრის სასარგებლოდ განზრახული საღამო 21 დეკემბრისათვის არ შესდგა, რადგან უფროს კლასების მოწაფეები ჯარში ჩაეწერენ. ვისაც ბილეთი ნაყიდი აქვთ ფული შეუძლიანთ დაიბრუნონ ორგანიზაციის თავმჯდომარის ამხანაგის ზურაბიშვილისაგან.

✦ **კალენიკე გოგიბერიძის საქმე,** 16 დეკემბერს თფილისის სასამართლო პალატაში გაირჩა კალენიკე გოგიბერიძის საკასაციო საჩივარი. როგორც ვიცით, ქ. გოგიბერიძეს თფილისის საგანგებო სასამართლომ ამას წინად 8 წლის კატორღა მიუსაჯა პორუჩ. ლ. გაჩეჩილაძის მოკვლისა და როტმისტრ სირაძის მოკვლის განზრახვისათვის. პალატამ საგანგებო სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა. გოგიბერიძის საკასაციო საჩივარი კი—უყურადღებოთ დასტოვა.

### კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, საღამოს 5 საათზე, მეორე კომერციულ სასწავლებლის შენობაში ს. დ. პარტიის წევრთა იწვევენ საზოგადო კრებაზე. კითხვა იქნება დღევანდელი მომენტის შესახებ.

— კვირას, 22 დეკემბერს, დილის 11 საათზე, მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქ., 29,) შესდგება ამავე რაიონის კოლექტივის წევრთა, არა ჩვეულებრივი სასწრაფო სხდომა. რადგანაც სხდომა მეორეჯერ არის დანიშნული, ის კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ წევრთა რიცხვისა, რისთვისაც ვ თხოვთ ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ.

### პროვინციის ქრონიკა.

**დუშეთის** მაზრაში ერობის შემომღები კომიტეტი საერობო ხმოსნების საყურადღებოთ აცხადებს, რომ კვირას, 22 დეკემბერს ქ. დუშეთში გაიხსნება დამფუძნებელი კრება დუშეთის სამაზრო საერობო საკრებულოსი. ხმოსნებათ არჩეულნი არიან: მ. ი. კლიმიაშვილი, პ. კ. მანჯგალაძე, ი. ა. ტატიშვილი, გ. ანტონაშვილი, გ. გათენაშვილი, ნ. გ. ჩიმაკაძე, მ. ო. ქურცაძე, ა. ფარნიევი, ი. ურუშაძე, ი. ფუტური, ი. ქუთათელაძე, ქ. ბუთხუზი, დ. ჩხეიძე, ა. ცომოლოვი, აბაევი, ნ. ღუდუშაური, ა. ს. ჩოხელი, ნ. ხურუმოვი, ა. ინაშვილი, ი. გარსევანიშვილი, გ. საბაშვილი, ი. ქისტაური, ვ. მოლოდინი და ი. შადური.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

21 დეკემბერი.

### გერმანული პრესის ცნობები.

აგრამიდან მოსული ცნობით, ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა თანახმა არიან ალისრულოს სამხრეთ სლავიანთა მოთხოვნილება, რომ ტრიესტი ინტერნაციონალურ თავისუფალ ნავთსადგურად გამოცხადდეს.

ალბანიის ეროვნულმა კომიტეტმა ჟენევაში ალბანეთის ბედის გადაწყვეტა ვილსონს მიანდო, ალბანეთის მანიფესტი სთხოვს ვილსონს თავიდან აიცილოს ის უსამართლობა, რომელიც ლონდონის კონგრესმა მიაყენა ალბანეთს.

16 დეკემბერს რომში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკის პრეზიდენტი მასარიკი, რომელსაც სადგურზე შეეგება მეფე.

პრუსიის მინისტრის გირშის დანციგში ყოფნის დროს გაიმართა გერმანელთა დემონსტრაცია პოლონეთის წინააღმდეგ. პოლონეთის საზღვრებში ჩარეულმა დიდძალმა ხალხმა გერმანული ჰიმნის სიმღერით გაემართა მთავრობის ბინისკენ, სადაც ორატორები ამბობდნენ, რომ დანციგი ძველი გერმანიის ქალაქია და აღმოსავლეთ პრუსიის დეპარტამენტი ყოველთვის გერმანიის განუყოფელ ტერიტორიათ ითვლებოდა. შემდეგ გადასწყვიტეს, პარიზში პრეზიდენტ ვილსონს შემდეგი რადიო დეპეშა გაუგზავნონ: ქ. დანციგის 150,000 გერმანელების სახელით გთხოვთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტომიიღოთ მხედველობაში, რომ ქალაქი დანციგი ძველ დროიდანვე გერმანიის ქალაქად ითვლება. მიუხედავად ამისა პოლონელები გვედავებიან დანციგზე და სთვლიან მას პოლონეთის ტერიტორიის საკუთრებათ. ასეთ მოქმედებაზე ჩვენ, გერმანელების უმრავლესობა 98%, 2% პოლონელებს წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებთ.

გირშის კაბინეტმა განაცხადა, რომ ახლანდელი მთავრობა მისგან დამოკიდებულ ყველა ზომებს მიიღებს, რომ აღმოსავლეთი პრუსია გერმანიას დარჩეს. მთავრობა ვილსონის 14 პუნქტის პლატფორმაზე სდგას და მოითხოვს თვითგამორკვევის უფლება მიენიჭოს აღმოსავლეთ პრუსიასაც.

ჰამბურგის დემოკრატიულ პარტიის დეპეშის საპასუხოთ სახალხო კომისარმა ებერტმა განაცხადა, რომ სიმართლეს არ შეეფერება ის ცნობა, თითქოს მთავრობას თანხმობა განეცხადებიოს ყოფილ იმპერატორის გაცემაზე.

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობამ 18 დეკემბერს პირველ რიგში განიხილა მოთხოვნილება იმ ჯარისკაცებისა, რომელნიც ყრილობის კორპორაციაში შევიდნენ წინა დღით საღამოს. დიდი კამათის შემდეგ ჯარისკაცთა მოთხოვნილება მიიღეს. კრების დროს მოვიდა მუშათა დეპუტაცია, რომელმაც მოითხოვა მოუსმინონ მათ ისე როგორც წინა საღამოს ჯარისკაცთ მოუსმინეს. ბოლოს გადასწყვიტეს მიიღონ დეპუტაცია მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს იქნება უკანასკნელი დელეგაცია, რომელსაც სხდომის დარბაზში დაუშვებენ. დეპუტაციის მეთაურს ნება დართეს გამოაქვეყნოს სპარტაკელთა ჯგუფის მოთხოვნილება, რომელიც მიმართულია დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგ, სხვაზე ლაპარაკის ნება არ დართეს. სხდომა დასრულდა დიტმანის და რიხარდ მიულერის მოხსენებით სახალხო კომისარების და აღმასრულებელ კომიტეტის მოქმედების შესახებ უკანასკნელ ხანამდე. შემოსულ წინადადებათა შესახებ კენჭის ყრის შედეგმა გამოარკვია, რომ დიდი უპირატესობა სოციალისტურ უმრავლესობის მხარეზეა. დაადგინეს აღმასრულებელი ძალა-უფლება სახალხო კომისართა საბჭოს გადაეცეს და მას კონტროლისთვის დაენიშნოს ცენტრალური საბჭო, რომელიც შესდგება მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლებიდან. ასეთი წეს-რიგი დ რჩება დამფუძნებელ კრების მიერ საბოლოო კონსტიტუციის შემუშავებამდე. აქამდე ფიქრობდნენ, რომ ხუთშაბათს ყრილობის სხდომაზე შემოსული ჯარისკაცები გროსბერლინის 20 სხვადასხვა სამხედრო ნაწილების წარმომადგენლნი იყვნენ, მაგრამ, როგორც გამოირკვა 12 მათგანს ამის შესახებ არაფერი სცოდნია.

„ლოკალ ანცაიგერი" ამასვე ფიქრობს დანარჩენ 8 ჯარისკაცის შესახებ და ამბობს, რომ მათი მოთხოვნილება წარმოყენებულია ჯარისკაცთა საბჭოს მიერ კი არა, არამედ სპარტაკის ჯგუფს მიერ, რომელმაც ის 20 ჯარისკაცი გამოგზავნა, როგორც ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენლნი.

სარწმუნოების საქმეთა ბერლინის სამინისტრომ შეადგინა შერეული კომისია ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების კანონ პროექტის მუხლობრივ განსახილველად. კომისიაში წევრებად შედის სამღვდელოების რამოდენიმე წარმომადგენელი.

### ინგლისის პრესის ცნობები.

ლონდონში ჩამოვიდნენ საზავო კონფერენციის დელეგატები.

ლოიდ მიულერმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა ჯარი, რომელთა რიცხვში ბრიტანიის ჯარის მცირე ნაწილი იყო, გაიგზავნა რუსეთში, რადგან ბალშევიკები ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ ჩვენს მტერს. ბალშევიკთა მოქმედების წყალობით განთავისუფლდა რამდენიმე ასი ათასი გერმანელი. ბალშევიკებმა გერმანელებს გადასცეს შავი ზღვა და მუხანათურათ თავს დაესხნენ ჩეხო-სლოვაკებს, რომელნიც მზათ იყვნენ დაეტოვებინათ რუსეთი, რომ დაეცვათ თავის ქვეყნის თავისუფლება. მათი მამაცობის გამო ციმბირი და სამხრეთ-რუსეთი გადაურჩა მტერს და გერმანელებმა ვერ ისარგებლეს ჩრდილოეთის ნავთსადგურებით. ასეთი მოქმედება არსებით დახმარებას გვიწევდა მტრის დამარცხებაში, მოკავშირეთა ჩარევის დროს ჩვენს მხარეზე რამდენიმე ათასი რუსი იბრძოდა; დიდი ცოდვა იქნება, რომ ესენი ღვთის ანაბარათ დავტო-

ვოთ ხაერთო მტერთან ბრძოლაში, როცა ჩვენი მიზანი უკვე მიღწეულია. მთავრობას არა სურს, რომ მისი ჯარი რუსეთში მოვალეობის შესრულების შემდეგ ერთი დღეც დარჩეს. მას სწამს, შორს არ არის ის დრო, როცა შესაძლებელი იქნება ჯარის წაყვანა ისე, რომ მას არ მოჰყვეს რაიმე უბედურება.

## გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 21 დეკემბერი.

**გერმანელი ჯარების წასვლა საქართველოდან.**

გემი „როდოსტო“ ნიკოლაევში მივიდა. ფოთში სდგას გემი „ვარნა“, რომელიც წაიყვანს უკანასკნელ ჯარისკაცებს. თუ არ დაიტვია მასზე ჯარი, მაშინ კერძო გემის დაქირავება იქნება საჭირო. ნიკოლაევიდან გვატყობინებს ჩვენი ოფიცერი, რომ გზა ბრესტ-ლიტოვსკზე უზრუნველყოფილია.

**ვინ დარჩება აქ?**

საქართველოს რესპუბლიკაში დარჩება გერმანიის დელეგაციის შემადგენლობა: გენერ. კრესი, შულენბურგი, პროფ. ცუგმაიერი, საშტაბო მთელი შემადგენლობა და ამისთვის საჭირო რაზმი.

**ტყვეების ევაკუაცია თურქესტანიდან.**

თურქესტანიდან გერმანელ და ავსტრიელ ჯარისკაცების სამშობლოში გასაგზავნად მუშაობს გერმანია-შვეცია დანია ავსტრიის შეერთებული კომისია. ინგლისის ადგილობრივი მთავრობა თანაგრძნობით ეპყრობა ამ საქმეს. თურქესტანში ეხლა 9 ათასი გერმანელი და 25 ათასი ავსტრიელი ჯარისკაცია. იყო 3 ათასი გერმანელი, მაგრამ ციმბირიდანაც 6 ათასი მივიდა. პირველი წყება სამხედრო ტყვეებისა თებერვალზე ადრე ვერ გაიგზავნება.

**გერმანიაში.**

16—19 დეკემბრამდე ბერლინში მოხდა საბჭოების ყრილობა. კომიტეტების ყრილობა. სპარტაკის ჯგუფი შეეცადა ყრილობის ჩაშლას, მაგრამ ვერ შესძლო. მიიღეს რეზოლუცია რომ მხარს უჭერენ და ეხმარებიან არსებულ მთავრობას. მთავრობას მთლიანად გადასცეს აღმასრულებელი ძალა. „სპარტაკი“ მოქმედობს ბერლინში, მას პროვინციაში არა აქვს გავლენა. თუ ბერლინში „სპარტაკმა“ გაიმარჯვა, გერმანია ცალკე პროვინციებად დაიშლება.

**ვენგრიაში.**

საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი ბიერო თანამდებობიდან გადადგა. პრესა აღნიშნავს, რომ ის დიდი ხანაა უნდა გადამდგარიყო.

**მოკავშირენი და გაერთიანებული გერმანია.**

მოკავშირეებს არ უნდათ, რომ გერმანული ავსტრია გერმანიას შეუერთდეს, რადგანაც ამ აქტში გერმანიის გაძლიერებას ხედავენ ისინი უფრო დათანხმდებიან იმას, რომ გერმანული ავსტრია და სხვა ნაწილები ძველებურად მოეწყონ.

## საქართველოს პარლამენტი

20 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

**ნ. ჩხეიძე:** ბ-ნებო, ფრონტზე, ეკატერინოფელდთან, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ დაგვრჩა გამარჯვება. მაგრამ ამ ბრძოლაში დაიღუპა ერთი გმირი, პარლამენტის წევრი სანდრო მაისურაძე. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მის ხსოვნას (დეპუტატები დგებიან).

**შ. ამირეჯიბი** (სარედ. კომ. წევრი) კითხულობს სამხედრო საჭიროებისათვის თანხის გადიდების კანონის და სახსრის ხარჯთ-აღრიცხვის კანონის საბოლოო ტექსტებს. პარლამენტმა დაამტკიცა მცირე შესწორებებით.

**კანონ პროექტი რესპუბლიკის მტრის დახმარებისთვის ქონების კონფისკაციის შესახებ.**

მომხსენებელი **რ. არსენიძე:** მოქალაქენო! პარლამენტის წევრნო! საქართველოს რესპუბლიკას 6 თვის თავზე პირველად მოუხდა ომი. აქ კი თავი იჩინა. ისეთმა მოვლენამ, როცა რესპუბლიკას სჭირდება ერთგვარი ზომების მიღება. საქმე იმაშია, რომ ზოგი პირი არ სთვლის საჭიროდ ანგარიში გაუწიოს ახალ სახელმწიფოს მოთხოვნას თავისი მოვალეობა. პირიქით, ზოგი სთვლის საჭიროდ ებრძოლოს იმ სახელმწიფოს, სადაც ის სცხოვრობს. ყველა ასეთი პირი, რასაკვირველია, მოღალატე და გამცემია.

ყველაზე ცუდი ამ შემთხვევაში ის არის, რომ მტერს ხელს უწყობენ ხოლმე არა მარტო იარაღით, არამედ მთელი ქონებითაც, რომელსაც ეხლა დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი პირნი ღირსნი არ არიან იმ ქონებისა, რომელიც მათ სახელმწიფოში შეუძენიათ და იგი უნდა ჩამოერთვას. რასაკვირველია, მათ მოღალატეობას გაარჩევს სასამართლო, ხოლო ის ავლადიდება კი, რომლითაც იგინი სახელმწიფოში სარგებლობენ, უნდა ჩამოერთვას. ეს

## ჯარს და გვარდიას

საქართველოს შვილებო!
დღეს თქვენ გიმღერს ჩემი ქნარი:
თქვენ ხართ ერის მტკიცე ზურგი!
თქვენ ხართ ერის მტკიცე ფარი!
არ დახაროთ მისი დროშა:
ხელში გეპყრათ მუდამ მაღლა!
ვიდრე მტერი კარს გვადგია:
არ იცოდით რაა ღალლა!
და თქვენს შორის ტრიალებდეს
მარად სანდროს გმირი სული
და სულს და გულს გიალებდეთ,
უშიშრობის მოციქული!
მადლიერი ჩვენი ერი,
როს თავს თვისად დაიგულებს,—
ვაშა ვაშას შემოგძახებთ
და მოგიძღვნით თაიგულებს!
და რათ გინდათ სხვა დიდება,
უფრო წმინდა, უფრო ქველი:
უკვდავებით შემოსილებს
დაგერქმევათ „ერის მხსნელი“!

ვ. რუხაძე.

ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომელსაც, ალბად, პარლამენტიც დაადასტურებს.

კანონ-პროექტი ორი მუხლისაგან შესდგება 1) საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უცხო სახელმწიფოს საომარ მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ ან და გარეშე მტერს აქტიურ დახმარებას გაუწევს იარაღის, ფულის თუ ცნობების მიწოდებით, ან საერთოდ ხელს შეუწყობს მტრის სამხედრო მოქმედებას, ჩამოერთვას მთავრობის დადგენილებით ყოველი უძრავ მოძრავი ქონება საქართ. რესპუბლიკის ხაზინის სასარგებლოდ, 2) ეს კანონი შედის ძალაში დეკემბრის ცხრიდან 1918 წ.

**რ. გაბაშვილი.** (ლ. ე. დ.) ჩვენ, რასაკვირველია, ვეთანხმებით კანონ პროექტს, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სიტყვა მოქალაქის მაგიერ ნახმარი იყვეს მცხოვრები. ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გამოურკვეველია, ვინ არის მოქალაქე და ვინ არა. ამ გარემოებით ბევრი ბოროტად სარგებლობს თუ ჩვენ ვიხმართ მცხოვრებს, ამით დავამტკიცებთ, რომ ყველა (იქნება ის მოქალაქე თუ არა მოქალაქე) ერთნაირად დამნაშავე იქნება, თუ ამისთანა მოღალატეობას ჩაიდენს.

**გრ. რცხილაძე.** (ს. ფ.) იცავს კანონ პროექტს ისე, როგორც წარმოდგენილია. რაც შეეხება მცხოვრებთ—ამის შესახებ, ალბად, ცალკე კანონის გამომუშავება იქნება საჭირო ამ ახლო მომავალში.

**გრ. ვეშაპელი.** (დ. ე.-დ.) იცავს რ. გაბაშვილის შესწორებას და ამბობს, რომ დღეს ბევრი ახერხებს, როცა მისთვის ხელსაყრელია იყოს ქვეშევრდომი და როცა არაა ხელსაყრელი—არა ქვეშევრდომი. საერთაშორისო უფლება დღეს გაურკვეველია. ეხლა მოქმედებს ძალთა განწყობილება. ბევრს რაღაც იმედიც აქვთ, რომ ქვეშევრდომობის კანონის დამატება გამოვა. საჭიროა აგრეთვე ითქვას, რომ ვინც ჩვენ აგვიჯანყდება, მათ ჩამოერთმევა უპირველესად ყოვლისა უძრავი ქონება —მიწა და გადავა საქართველოს სახელმწიფო საკოლონიზაციო ფონდში.

მომხსენებელი **რ. არსენიძე.** საბოლოო სიტყვაში იცავს კანონ პროექტს და ამბობს, რომ ყოველ კანონში საჭიროა გარკვეულობა, ხოლო აღნიშნულ შესწორებას შეაქვს კანონში გაურკვევლობა. კანონმა უნდა დასაჯოს განსაზღვრული დამნაშავენი.

პარლამენტმა უცვლელად მიიღო წარმოდგენილი კანონ პროექტი.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა სამხედრო მინისტრს.

სამხედრო მინისტრი თავის სიტყვას იმით ათავებს (სიტყვა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო მოყვანილი), რომ მთელი ხალხი უმაგრებს ზურგს ჩვენ სახალხო გვარდიას და რეგულიარულ ჯარს, რომლებიც იცავენ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და თავისუფლებასო (ტაში).

**დებულება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა.**

მომხსენებელია **გრ. რცხილაძე:** რევოლუციის პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე დაარსდა სხვადასხვა ეროვნული საბჭოები. ასეთი საბჭო დაარსდა აფხაზეთშიაც, მაგრამ სხვადასხვა ადგილობრივი პირობების გამო აფხაზეთის საბჭო დაიშალა. საჭიროება კი ამ საბჭოს არსებობისა არის. საქართველოს პარლამენტში უკვე დიდი შრომა გასწია აფხაზეთის ცხოვრების მოსაწესრიგებლად. საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობა წარსულში კარგად მოგეხსენებათ. საქართველოს გაერთიანების იდეა პირველად სწორედ აფხაზეთიდან გამომდინარეობდა. აქამდე ძლიერი კავშირი იყო და იქნება მომავალშიაც. აფხაზეთის საჭიროებას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. ის პრინციპები, რომლებზედაც აფხ. საბჭო უნდა დაეყრდნოს, შემუშავებულია აფხაზეთშივე, საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყველა, ვინც აფხაზეთში სცხოვრობდა 1914 წ. 19 ივლისამდე.

—— იყიდება ძველი გაზეთები ——
პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის“ კანტორაში—დილის 9 საათ. 2 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

პარლამენტმა დებულება მუხლობრივ წაკითხვის შემდეგ მიიღო.

**კანონ-პროექტი მოკლე ვადიან 5% სახელმწიფო ხაზინის ვალდებულების გამოცემისა.**

მომხსენებელია **ი. ლორთქიფანიძე:** სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მივმართოთ ჩვეულებრივ ზომებს. შინაური სესხი ჩვეულებრივ დროსაც არსებობდა, მით უმეტეს მისაღებია იგი დღეს. კანონ-პროექტი შესდგება შემდეგ მუხლებისაგან:

1. ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არაჩვეულებრივი ხარჯის დასაკმაყოფილებლად მიეცეს რესპუბლიკის მთავრობას უფლება გამოსცეს ორმოცდა ათი მილიონი (50,000,000) მანეთის 5% მოკლე ვადიანი სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებანი ერთი წლის ვადით.

2. ვალდებულებანი უნდა იყოს უსახელო და დაიყოს შემდეგ კუპიურებად: 5,000 მანეთიანი, 1,000 მან., 500 მანეთიანი, 100 მანეთიანი და 25 მან.

შენიშვნა: თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5000 მ. და 1000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობითი ვალდებულებათ და ჩაიწეროს ხაზინის თფილისის წიგნებში.

3. აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებული იქნეს სახელმწიფო გადასახადისაგან.

4. ვალდებულება გაიცემა და მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალ გასავალის დასაფარავათ და აგრეთვე საწინდარათაც.

5 ვალდებულებათა შეძენა შეიძლება სახელმწიფო ბანკის კანტორაში და განყოფილებაში, რესპუბლიკის ხაზინებში და ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებებში.

6. სარგებელი ვალდებულების მიმღებთ ეძლევათ წინდაწინ დღ დან მისი შეძენისა.

7. ვალდებულებათა სარგებლის დასაფარავათ შეტანილ იქნას რესპუბლიკის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ორი მილიონ ნახევარი (2,500,000) მან.

8. გეხსნას ფინანსთა მინისტრს ვალდებულებათა გამოსაცემ ხარჯების დასაფარავად კრედიტი ასი ათასი მანეთისა (100 000), რაიცა შეტანილ იქნას 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

9. ფინ. მინისტ. მიენდოს კანონის განსახორციელებლად სათანადო ინსტრუქციების გამოცემა თანახმად ამა კანონისა და საკრედიტო წესდების (რუსეთის კანონთა კრებული ტ XI, ნაწილი მეორე, გან. 152 მუხლიდან—184 მუხლამდე).

10. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მისი მიღებისა პარლამენტის მიერ.

კანონ-პროექტი პარლამენტმა მიიღო.

17 დეკემბრის სხდომა.

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან).

**ალ. ლომთათიძე** (ს-დ) მოქალაქენო! ხალხის ნდობით აღჭურვილნო! მძიმე მომენტი დადგა, მძიმე ატმოსფერა შეიქმნა ჩვენს გარშემო.

ამ ტრიბუნიდან, საქართველოს დემოკრატიის ტრიბუნიდან, პირველად გაისმა ხმა იარაღისაკენ მოწოდებისა.

საქართველოს დემოკრატიას იარაღი არა ერთხელ აუღია ხელთ, არა ერთხელ შეუტევია მას აქ იარაღით, მაგრამ ის, რომლის წინააღმდეგ დღეს ჩვენ მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად ჩვენმა ხალხმა უნდა აიღოს ეს იარაღი ხელში, სრულიად მოულოდნელათ, ცბიერათ თავდამსხმელია. ეს დღემდი, თვით ამ რამდენიმე ათეულ წუთის წინათაც კი ეს ჩვენთვის მიუღებელი, დაუშვებელი, წარმოუდგენელი იყო.

მოქალაქენო! მე ამას აქ აშკარად ვაცხადებ, რაც გინდ გვითხრან ჩვენ აქ, და ძალიანაც რომ დაგვჩხავლონ ისე, როგორც ამ საშინელ განცდის დროს ერთ პარლამენტის წევრმა დღეს აქ ინება, და იმის მაგივრად რომ გამოჰქვალულიყო (ვეშაპელი: მე გრამოფონი არა ვარ, გრამოფონები თქვენ ხართ) მდგომარეობის სერიოზულობით, როცა ჩვენ დღეს თავს გვესხმიან, ამის მაგივრად ჩვენ დღეს მხოლოდ ჩხავილი მოვისმინეთ. (ხმა: დღეს მაგის დრო არ არის!) დიახ, მართალს ბრძანებთ, დღეს არ არის დრო, რომ ანგარიში გაუწიოს მათ ასეთს გამოსვლას, მაგრამ როდესაც აქ, ამ ტრიბუნაზე გამოდიან და ამბობენ, რომ ხალხს, ქართველ ხალხს, სიმართლე უთხარითო, მე მოგახსენებთ და ვაცხადებ აქ აშკარად, რომ არ არსებობს მცირეოდენი ჯგუფიც კი ქართველ ხალხის, საქართველოს დემოკრატიის, რომელიც ან მიჰყვებოდეს ან გაჰყვებოდეს ამ მჩხავანებს. (ვეშაპელი და გაბაშვილი: ხმაურობენ) მოქალაქენო! მე ვამბობ იმას, რაც არ უნდა მოეწონოს, არც ბ. გაბაშვილს, არც ბ. ვეშაპელს, რაც უნდა მიიღოს და მოიწონოს საქართველოს დემოკრატიამ.

დღეს აქედან, ამ ტრიბუნიდან, მხოლოდ ერთი რამ უნდა აშკარად ითქვას, ერთი რამ აშკარად უნდა გაიგოს ქართველმა ხალხმა: რა მოხდა ასეთი, რამ აიძულა ჩვენი დემოკრატიული მთავრობა, რომ მან გადაჭრით განაცხადა: დაჰკრა საათმა, როდესაც საქართველოს ხალხმა იარაღი უნდა აიღოს ხელში. და ქართველმა ხალხმა იცოდეს, რომ ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის ამ იძულებითი იარაღის ხელში აღებაში. ჩვენ, მოქალაქენო, ყოველი საშუალება, რომლითაც კი შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა ეს საშინელი სისხლის ღვრა, ამოვწურეთ, ყოველ გვარი ნაბიჯები გადავდგით, იმისთვის რომ ტყვია არ გავარდნილიყო, სისხლი არ დაღვრილიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ თავს დაგვესხნენ, სისხლი დაიღვარა და დღეს უკვე ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ არ ვიცით როდის შეიძლება ვსთქვათ, რომ სისხლის ღვრა შეწყდა და ომი აღარ იქნება.

მე მინდა მოკლეთ გავაშუქო თქვენს წინაშე ის მიზეზები, რომელმაც წარმოშობა ასეთი ცბიერებით, ასეთი ყველასთვის მიუტევებელი, არამც თუ დემოკრატიული მთავრობისთვის, არამედ იმპერიალისტურ ცბიერებით გაჟღენთილ მთავრობისთვისაც კი ასეთი ნაბიჯი და თავდასხმა, რომლის მსხვერპლი გახდა ჩვენი მოწინავე რაზმი, საზღვრებს რომ იცავდა. ჩვენ ამ ტრიბუნიდან ვაცხადებთ, რომ ეს პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებენ სომხის ერის, სომხის ხალხის მესვეურნი, მესამე პარტია, პარტია დაშნაკცაკანებისა, ის პოლიტიკა, რომელიც მას უწარმოებია ოსმალეთში და რომლის სამწუხარო შედეგი უკვე იგემა მრავალ ტანჯულმა სომხის ერმა, ეს პოლიტიკა გადმოტანილ იქნა აქ, კავკასიაში საერთოდ და ჩვენ საზღვრებში კერძოთ. და აი, ამ პოლიტიკის აწარმოებლებმა აშკარათ გადადგეს ასეთი ნაბიჯი ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ. მაგრამ იციან თუ არა მათ, რომ ამ პოლიტიკის საშუალებით, მათ თითქმის დაღუპვის კარამდის მიიყვანეს სომხის ხალხი, და დღეს ამ ავანტიურით საბოლოოთ ანადგურებენ საკუთარ ერს, რომლის სახელით ისინი მოქმედებენ და ლაპარაკობენ. სხვა შედეგი ასეთ პოლიტიკიდან არ შეიძლება გამომდინარეობდეს. სისხლის მორევში სცურავს სომხის ერი, დაბრმავებული და მოტყუებული ავანტიურისტების მიერ. არ იცის ამ დაბეჩავებულმა ხალხმა რას სჩადის, ვის მისდევს და ამის გამოა, რომ დაშნაკელების პოლიტიკა დღეს სომხის ერის პოლიტიკათ საღდება. გაბაშვილი: (აკი სხვადასხვა არისო) ბ. გაბაშვილი დღეს მხიარულ გუნებაზე არის, ალბათ მას ძალიან მოსწონს... (თავმჯდომარე. უკაცრავად, უკაცრავად. უმორჩილესად გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ) ისეთ გუნებაზე... (თავმჯდომარე. უკაცრავად, ბატონებო. მე იძულებული ვიქნები, წესრიგისთვის მოუწოდო იმ ორატორს, რომელიც დაარღვევს წესრიგს და ადგილიდან ილაპარაკებს). მაინც მოგახსენებთ, ბ. გაბაშვილის ასეთი გუნება დღეს ალბათ, მისი პარტიულ სიბრძნითაა ნაკარნახევი, თორემ ამ საშინელ დროს, ასეთ მხიარულ გუნებაზე ყოფნა გაუგებარია.

მაგრამ, მოქალაქენო, ტყუილად გარჯილან არარატის რესპუბლიკის დღევანდელი მესვეურნი, თუ მათ ჰგონიათ, რომ მათი სისხლიანი პოლიტიკის მსხვერპლი შეიქნება საქართველოს დემოკრატია. მე გაბედავ და ვიწინასწარმეტყველებ ამ ტრიბუნიდან: არაა ეჭვი, რომ ისინი საშინლად დამარცხდებიან.

და მართლა, მოქალაქენო, ვინ არ იცის, თუ სანამდი მიიყვანა დაშნაკიზმმა სომხის ერი და მუსავატელებმა თათრის მასა? ვინ არ იცის ის პირდაპირი მტრული განწყობილება, რომელიც არსებობს მათი წყალობით ამ ორ ერთა შორის! ერთად ერთი ქვეყანა, რომელიც შორეულ ისტორიულ დროიდან დღემდის სრულიად წინააღმდეგ გზას ადგა და მაღლა ეჭირა დროშა მეზობელ ერებთან სოლიდარობისა, იყო და არის საქართველო. ჩვენ გვეგონა, რომ ამას ანგარიშს გაუწევდა არარატის რესპუბლიკა და არ გასწირავდა თავის ერს საქართველოს გადამტერებით. დღეს კი ეს ქვეყანაც ჩამოშორდა მათ და ამგვარათ გარიყული შეიქნა სომხეთი. აქ ითქვა: შეიძლება, რომ სხვა ვისიმე იმედი აქვთ მათო. მე არა მგონია, რომ ასეთი სხვა ვინმე იყოს. ვფიქრობ, რომ ამისთანა პოლიტიკის მაწარმოებელ სახელმწიფოს დაეყრდნოს რომელიმე დიდი და სახელმწიფოებრივი სიბრძნის მატარებელი სახელმწიფო, რადგან ავანტიურიზმითა და მოღალატეობით გაჟღენთილი პოლიტიკა მუდამ ღუპავდა მათ, ვინც მას აწარმოებდა ან მაზე ეყრდნობოდა.

საქართველოს თავს დაეცნენ. საქართველოს დემოკრატიას სისხლის მორევს უმზადებენ. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, საქართველოს არა ერთი და ორი შავი დღე უნახავს სხვადასხვა ურდოებისაგან, მისი ისტორია აღბეჭდილია ქართველი ხალხის გმირული თავგანწირული ბრძოლის ამბებით, საქართველოს დღემდე მოუტანია თავისი ეროვნული სახე და კულტურა, საქართველოს დემოკრატიას გადაურჩენია თავი რუსეთის თვითმპყრობელობის კლანჭებისაგან, მან დემოკრატიზმის სახახლის მკვიდრო საძირკველი ჩაუყრია, საქართველოს გულში შეიტანა ძვირფასი საერთაშორისო წმინდა იდეალების მზურვალე კერა და ის საკუთარი სისხლითა და ოფლით მოპოვებულ თავისუფლებისა და კულტურის საგანძურის გაპარტახებას არავის მიუტევებს.

ჩვენ მედგრათ უნდა შევძახოთ არარატის მოსისხლეთ: ხელი შორს!

მოქალაქენო! ხალხმა უნდა გაიგოს, რაშია საქმე—გვითხრეს დღეს აქ. დიახ ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სამშობლოს და დემოკრატიულ წეს-წყობილებას საფრთხე მოელის და ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. სომხეთის მთავრობას და, როგორც ამბობენ, პარლამენტსაც, თითქმის ერთხმათ გადაუწყვეტიათო, იარაღით ხელში გადასჭრან ეგრედ წოდებული სადავო საკითხები, საზღვრების შესახებ, მაგრამ მათ ხომ სოციალისტური და დემოკრატიული იარლიკი აკრავთ. და მერმე რატომ არ მიიღეს ჩვენი მრავალჯერ საქვეყნოთ განცხადებული წინადადება—მშვიდობიანათ მოვრიგდეთო? იმიტომ რომ ამ „სოციალისტების“ და „დემოკრატების“ მოღვაწეობის შინაარსი აშკარა ანტი დემოკრატიული და ანტი სოციალისტურია, და დღევანდელი მათი თავდასხმა ხომ პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონურია. რომელი კონტრ რევოლიუცია დაგვაყენებდა ამაზე საზარელ ამბებს—გეკითხებით მე თქვენ? და მართლაც სადაა ის მიჯნა, რომელზედაც შეჩერდება ატეხილი სისხლის ღვრა? და თუ ეს ასეა, აშკარაა, რომ მათი წყალობით შეიძლება შეირყეს და აირიოს-დაირიოს ჩვენში ყველაფერი და შექმნას ისეთი მდგომარეობა, როცა კარები გაიღება ყველა ჩვენს ორგულთ ჩრდილოელი იქნება ის, თუ შავ ზღვის ნაპირიდან. მაშ ასე, ეს შემოსევა, არსებითად მიმართულია წინააღმდეგ ჩვენ დემოკრატიულ წეს-წყობილებისა, და რევოლიუციის იმ მონაპოვართა, რომელნიც ჩვენ უკვე განვამტკიცეთ ცხოვრებაში. გადაავლეთ თვალი და შეადარეთ, რაც მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე, იმას, რაც მოხდა სომხეთში, იქაც დემოკრატიული რესპუბლიკაა და აქაც, იქაც სოციალისტები —ესე ამბობენ,—სახელმწიფოს სათავეში, და აქაც, და მე ვეკითხები მათ ამ ტრიბუნიდან, დაგვისახელონ რა რეფორმები გაატარეს იქ, რა მისცეს გლეხებს, რა მისცეს მუშებს? მაუზერები ხელში და ძმათა სისხლის მორევი. „ზინვორიზმი“ და მაუზერიზმი—აი რა ასულდგმულებს მათს ეგრედ წოდებულ, დემოკრატიულ საქმიანობასა და სახელმწიფოებრივ მოქმედებას და საერთოდ დღევანდელ თავდასხმაშიაც კერძოთ.

მოქალაქენო, აქ მოითხოვეს, გამოვიდეს მთავრობა და დაგვისახელოს რა ზომები არის მიღებული, რა უნდა გააკეთოს მან, რომ ხალხს თავიდან ააშოროს საფრთხე. მოქალაქენო! ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ აქ გამოვიდეს და ტრიბუნიდან გადმოგვიშალოს, აი ეს გეგმა გვაქვსო. ჩვენთვის საკმარისია როცა დემოკრატიის ქალარა ბელადმა, დემოკრატიულ მთავრობის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა: ჩვენ გვაიძულეს იარაღი ხელში აგვეღო, ჩვენ თავს ვიცავთ და ყველაფერი რაც გასაკეთებელია, გაკეთებულ იქნებაო. ახლა კი პარლამენტის აზრი გვინდაო. ჩვენ, პარლამენტმა, უნდა ვსთქვათ, ჩვენც თქვენთან ვართ, მზად ვართ როცა საჭიროება მოითხოვს ვემსახუროთ საქართველოს და მის ინტერესებს, ოღონდ მაღლა გვეჭიროთ ის დროშა, რომელზეც აწერია: საქართველო და მისი ბედნიერება. სხვისას არ შევეხებით, ჩვენსას არავის დავუთმობთ, მის აწმყოს და მომავალს არავის გავათელვინებთ.

სოციალდემოკრატიული ფრაქცია, არასოდეს არ გაურბოდა პასუხისმგებლობას, და მით უმეტეს დღეს როდესაც ის, უცილოდ პასუხისმგებელი არის და იქნება ყველა იმ ნაბიჯში, რომელსაც გადასდგამს მთავრობა მომავალში და რომელიც მიმართული იქნება ჩვენი დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ წეს-წყობილების დასაცავათ, გასამაგრებლათ, შესანარჩუნებლათ და იმ ძვირფასი განძის შთამომავლობისათვის გადასაცემათ. ყველა ამ ნაბიჯში ჩვენ ხალხთან და მის მთავრობასთან ერთად ვართ. მოგვიწოდეთ როცა გსურთ და ჩვენ მზათა ვართ თავი დავსდოთ საქართველოსა და მის დემოკრატიისთვის.

ვათავებ და ჩემი უკანასკნელი სიტყვები, რომლითაც, მე მინდა, გაარღვიონ ამ დარბაზის კედლები, მისწვდნენ ჩვენი ხალხის გულს, საქართველოს თვით მიყრუებულ კუთხეებშიც კი, შემდეგია:

საქართველო და მისი ხალხი განსაცდელშია. მუხანათი მტერი მოღალატურათ დაგვესხა თავს. იარაღი აისხი და მტერს მტრულათ დახვდი, მეგობას კი მეგობრულათ ხელი გაუწოდე. (მხურვალე ტაში).

**მიხაილიდი** (ელინთა წარმომ.) აცხადებს, რომ საქართველოში მცხოვრები ელინები მხარს უჭერენ მთავრობას და არ დაიშურებენ ძალ ღონეს საქართველოს დასაცავად.

სამხედრო მინისტრი **გრ. გიორგაძე.** მოქალაქენო! მას შემდეგ, რაც პარლამენტმა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯისი სურვილი წარმოსთქვა და ეს სურვილი აქ მოვისმინეთ, მე თამამად შემიძლია გადავცე იმ ჯარს, რომელიც ჩვენი საზღვრების დასაცავათ მიდის,—რომ მთელი ქართველი ერი, მთელი დემოკრატია მასთან არის და მხარს დაუჭერს მას, ამ მძიმე პირობების დროს, რომელიც დღეს არსებობს (ძლიერი ტაში).

დამერწმუნეთ, რომ ამ ახალგაზრდა ჯარმა ამ სამი დღის განმავლობაში დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან თავისი მკერდი გაუშვიროს მოწინააღმდეგის ტყვიას. ეს დაამტკიცა მან მით, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ამ სამი დღის განმავლობაში მოღალატურად იმყოფება აუტანელ პირობებში, მიუხედავათ იმისა, რომ ის ჩავარდა ისეთ პირობებში, რომ სხვა ამ პირობებს ვერ აიტანდა და დაიღუპებოდა, მან გაარღვია წრეები მოწინააღმდეგისა და თავდადებით, ქართველურად (მქუხარე ტაში) გამოვიდა სამშვიდობოს, გამოვიდა იმიტომ, რომ ეხლა ახალი ძალა მოიკრიბოს. ჩვენის ჯარის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ, თუმცა ჯოჯოხეთურ პირობებში იყო და ბევრიც დაიღუპა, მაგრამ არც ერთს ზურგი მტრისათვის არ უჩვენებია (ძლიერი ტაში). ეს ფაქტიური საბუთი არის, რომ ჩვენი რეგულიარული ჯარი, ჩვენი სახალხო გვარდია, ჩვენი მუშები, დღეს რომ ერთად გაემგზავრნენ საზღვრების და დამოუკიდებლობის დასაცავად, შესძლებენ თავისი მოვალეობა შეასრულონ პირნათლად სამშობლოს და თავის დემოკრატიის წინაშე. ეს ჩვენი ხმა, ეს თქვენი გამოძახილი არის ზნეობრივი ძალა, რომელიც ფიზიკურ ძალასთან ერთად შესძლებს დაიცვას ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მთავრობის მოხსენების შესახებ რეზოლიუცია შემოაქვს ს.-დ. ფრაქციას, რომელიც ჩვენს გაზეთში გუშინ იყო მოთავსებული.

**შ. დავარიშვილი** (ისრაელთა წარმომადგენელი). ბატონებო! ასეთ ისტორიულ მომენტში ვერც ქართველი ისრაელები გავჩუმდებით. ჩვენი სიტყვა ის არის, რაც სთქვა ქართველ ერის და საერთო დემოკრატიის წარმომადგენელმა ნოე ჟორდანიამ, რომ ჩვენი ძალღონე, ფიზიკური და მორალური, მატერიალური რესურსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისთვის უნდა დაიწვას. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას (ტაში).

**რეზოლიუცია.**

„მოისმინა რა მთავრობის მოხსენება შესახებ ხამხედრო მოქმედებისა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებს შორის, პარლამენტი აღიარებს:

1. რომ საქართველოს მთავრობას არავითარი საბაბი მტრული განწყობილებისა არ მიუცია სომხეთის მთავრობისათვის. რომ მან მიიღო ყოველივე ზომა ორ მოძმე სახელმწიფოთა შორის საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის.

2. რომ სომხეთის მთავრობის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში, მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს ჯარის სადარაჯოებს, მრავალი ჯარისკაცი დახოცა, მრავალი ტყვედ წაიყვანა.

პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს მტერთა ასალაგმავად, აღუთქვამს მთავრობას ყოველს დახმარებას რესპუბლიკის დასაცველად და აცხადებს, რომ რესპუბლიკის ძალები მიმართულია არა სომეხ ხალხის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ სომხეთის მთავრობის იმ წრეებისა, რომელთა პოლიტიკას მიზნად აქვს ხიდი ჩატეხოს საუკუნოებით მეგობრულ ერთა შორის და როგორც ქართველს, ისე სომეხ ხალხს განადგურებას უქადის".

რეზოლიუცია პარლამენტმა მიიღო ერთხმათ.

## პასუხად დუშეთელ ქონდრის სოც.-ფედერალისტებს

(დასასრული)

11. თქვენ ძალიან გახარებიათ, რომ ჩვენ ვიკელით ოთხჯერ. რეგვნებო! თქვენ რა შეგემატებათ. ეს ხომ იმ მომწამვლელ „ბოლშევიზმის" ბრალია, რომელმაც გული აურცუა ჩვენს პარტიაზედაც და ჩვენს მთავრობაზედაც. ესეც არ იყოს, განა ახალმა ავადმყოფობამ ცოტა შეგვიშალა ხელი? ეს სენი რომ არ მოსდებოდა სოფლებს—ცხადია, ხალხი უფრო მეტი მოვიდოდა.

12. სტყუით, როდესაც აცხადებთ ქვეშეთის რაიონის ოხ კომისარს ნ. ხურუმოვს ქართული არ ესმისო. მას კარგა ესმის ქართული და ჩინებულადაც უძღვება საქმეს. იქ სწორედ ასეთი კაცია საჭირო, ვინაიდან 5000-ზე მეტი ოსია და ზოგმა ქართული არც კი იცის. ქართველი რომ ყოფილიყო ხომ უფრო ცუდი იქნებოდა. ვერას გაიგებდა იმდენი ხალხისაგან.

მართალიაც, რომ არა სცოდნოდა ხურუმოვს ქართული, ფედერალისტებს მაინც არა ეთქმით რა. ვიდრე ხურუმოვს დაჰნიშნავდნენ, ის ადგილი კომისრისა შეაძლიეს დუშეთის სოც.-ფედ—თა კომიტეტის თავმჯდომარეს გრ. მაისურაძეს, მაგრამ მან არ მიიღო ის თანამდებობა. ჯამაგირი ეცოტავა. ნ. ხურუმოვმა იკისრა ამ მძიმე საქმის გაძღოლა და აი რა დაიმსახურა. საერთოდ ოსები მათ ძაძვის ეკლადა აქვთ თვალებში და წარა მარა მათს სათაკილოს სწერენ. მათ უფრო ის აბრაზებთ, რომ მათს ფეხის ხმას არ აგვჭყვეთ, დავუბღლოვდით მათ და ნ ოსი ხმოსნადაც კი გავიყვანეთ. რაღა გასაკვირველია, რომ ოსები მიჰხვდებოდნენ, ვისია პირველი ნომერი და მას დაუჭერდნენ მხარსა. აბა ვისთვის უნდა მიეცათ ხმა, მეორე ნომრისთვის ხომ არა?

13. წალკის რაიონში პირველმა მიიღო ცხრაასი ხმა და იგი არა სხვა ვინმემ, არამედ ჩვენმა ამხ. კომიტეტის თავმჯდომარემ ირ. ურუშაძემ გააუქმა არა იმიტომ, ვითომც ხმები ბოროტი განზრახვით იყო ჩაყრილი, არამედ იმიტომ, რომ ყოველს ბიულეტენს წარწერილი ჰქონდა სახელი და გვარი ამომრჩევლისა და ხშირად ხუთ-ხუთი, ათ-ათი სია ერთად იყო მოთავსებული. ჩვენ შევიარეთ წალკაში, მოვიწვიეთ კრება და გამოირკვა, რომ ხალხს მართლა მიუღია მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ წესი არა სცოდნიათ არჩევნებისა და ამიტომ არ დაუცავთ იგი. თითქმის ასეთივე დადგენილება გამოიტანა მაზ. საარჩევნო კომიტ, რომელსაც თქვენ არ ეწინააღმდეგეთ და ახლა რას წაგიგრძელებიათ ენები? მაშინ სახეწარი და დასატყუები გქონდათ რამდენიმე ხმისნის ადგილი და იმიტომ იკატუნებდით თავსა, არა?.. წალკელები გაგულისდნენ როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ მათი ხმები გავაბათილეთ. გვისაყვედურეს: ნება არა გქონდათ გაგებათილებიათ არჩევნები, რომელშიაც ხალხის ნება გამოიხატა. თუ მაინცა და მაინც ფორმალური მხარე გაინტერესებდათ და არც გჯეროდათ არჩევნების შედეგი, დასდგავდით ხელ-ახლა ყუთსა და მაშინ დაინახავდით, ვისაც თანაუგრძობთო. მართლაც, რომ არ აგვჩქარებულიყავით და წალკასა, ქ ნვალსა და თკალიეში ყუთები დაგვედგა—ფედერალისტები ხუთის ნაცვლად მხოლოდ ორს გაიყვანდნენ, მაგრამ ჩვენ არა გვქონია მიზნად, უეჭველად ყველა ჩვენი გასულიყო და ამიტომ უხათრეთ, თუმცა წალკელების სამართლიანი გულისწყრომა გამოვიწვიეთ.

14. გვისაყვედურებთ—სასოფლო კომისიის ხარჯით აწარმოებდით აგიტაციასო. რას გიკვირთ? მაშ ვისი ხარჯი უნდა ყოფილიყო? თქვენა? თქვენ ხომ ქალაქის და კოოპერატივის ჯამაგირებითა სცხოვრობთ. მაშ რად სცდებოდით პირდაპირ მოვალეობას და რად ეწეოდით აგიტაციას?

15. ი. ურუშაძისათვის მე არ მიცნობებია ყაზბეგის კომისარი ფირცხელაური მემუქრება მეთქი. უბედურება სწორედ იმაში იყო, რომ ყაზბეგში არ ვიყავი, თორემ რას მივცემდი ნებას იმდენი სითავხედის ჩადენისას. დავასახელებ რამდენიმეს: კომისარმა ა. ფირცხელაურმა, თუმცა საარჩევნო კომისიაში არა ყოფილა აკრძალული სოფ. გერგეთში ყუთის დადგმა, თუმცა გერგეთსა და ყაზბეგს შორის დიდი უთანხმოებაა და აკი არც ჩამოვიდნენ გერგეთლები ყაზბეგის ყუთთან, ფირცხელაურმა იცოდა, გერგეთელები ჩვენ მოგვცემდნენ ხმას იქ რომ ყუთი დაგვედგა და აკი წაართო კიდეც ამის საშუალება.

16. ყაზბეგში ყუთთან მოიწვია მხოლოდ ისეთები, რომელნიც შეუშინდებოდნენ მის ყვირილს და მათ მიაღებინა მონაწილეობა. ხმები ჩააყრევინეს მცირე წლოვანებს და ჩაიდინეს სხვა მრავალი სისაძაგლე, რამაც გააგულისა ისინი, რომელნიც მოსულიყვნენ პირველი ნომრის მისაცემად და წავიდ წამოვიდნენ სახლში. ასეთივე პროტესტი განაცხადა რაიონის კომისიამ და დაიშალა. ყუთი შეჰრჩათ ფირცხელაურსა და სვიმონ შადურს, რომელნიც, ცხადია, საარაკოდ დააგვირგვინებდნენ ასეთს უკანონო არჩევნებს. ჩვენ ეს მაინც დავამტკიცეთ მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვინდოდა აურ ზაური აგვეტეხა.

16. ფირცხელაურმა ტლანქად და უხამსად აკრძალა არჩევნები ისეთს დიდს საზოგადოებაში, როგორიცაა სიონი. უეჭველია ეს წოეთხოვება მას თავის დროზე. ჯერ-ჯერობით კი სამსახურიდან გადმობრძანებაც ეყოფა.

17. ფირცხელაური სნოშიაც მიჰრილა ცხენით და ყუთთან მყოფ ჩვენი ამხანაგებისთვის ვლ. თურქესტანიშვილისა და ტ. შუშიაშვილისთვის შეუყვირია: ვინა ხართ, საიდან მოსულხართ, ახლა გაგახსენდათ საქართველო, როცა მას მისს უარყოფაში იყავით, თქვენის თანმები მრავალი გადგვიტანებია თერგის თვის, არც ახლა გაგვიძნელდება. იმავე დროს გადაუყვირნია ხალხისთვის: უკანონოდ ვცნობ არჩევნებს—დაიშალეთ, რა თქვენი საქმეა არჩევნებიო. ფირცხელაურის სიხეპრობის გამო არა ერთს სოფელს მოესპო საშუალება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და, რა გასაკვირველია, რომ მე, როგორც სამაზრო ინსტრუქტორი მოვითხოვდი ჩვენი მთავრობისაგან მის დასჯას.

ფირცხელაურს რომ არ შეეშალნა ხელი მოხევეებში ათას ხუთასზე მეტ ხმას მივაგროვებდით. ახლა კი შორიდან მაყურებელი აბსენტეიზმს მიაწერს მოხევეების ასეთს ნაძალადევს დუმილს. ფედერალისტები გაკაპასებით სწერენ: როგორ დაასმინეთ სამინისტროს ფირცხელაური, რომელსაც მისი საზოგადოება „დიდს პატივსა სცემსო". მე შემოვიარე დუშეთის მაზრა, შევხვდი მრავალ დროდაფ კომისრებს, მაგრამ ფირცხელაურზე თავზე ხელ აღებული კაცი არსად შემხვედრია. ისე მოხევეების სოფელში არ შევსულვარ, რომ არ შემოეჩივლათ: ეს რა ღვთის რისხვა მოგვივლინა მთავრობამ, რომ ლამის ავიყაროთ მისი შიშით და ცხრა მთას იქით გადავსახლდეთო. ყველგან, საცა მოხვდება ფირცხელაური, ღვინით გალეშილი ასტეხს სროლასა და აყალ-მაყალს. მკლავაძეობაში ხომ ბადალი არა ჰყავს. სულ იმასა მთხოვდნენ მეშუამდგომლა მთავრობასთან მისი გადაყენება.

18. მაზრის კომისარმა აკ. ტყემალაძემ იმიტომ გაგაფრთხილათ, რომ თქვენი წარმომადგენელნი მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ. ისინი ეჩიჩინებოდნენ ხალხს სოც. დემ. მთავრობამ იმედი არ გაგიმართლათ, ათასი გადასახადები გაგაწერათ.. ნულარ მისცემთ ხმას გვარდიის პირველ ნომერსო. ისინი ხომ ზარბაზნებით ანადგურებდნენ თქვენს სოფლებს, ხმა მოგვეცით ჩვენ, რომელნიც ბოლშევიკებისაგან მხოლოდ ერთოვნულ საკითხში განვსხვავდებითო.

19. მაზრაში მოუწყობლობას აბრალებთ მაზრის კომისარს აკ. ტყემალაძეს, რომელმაც სულ ერთი თვე დაჰყო დუშეთში. რათ აბვევთ სხვას საკუთარს ცოდვებს. ეს ღვაწლი თქვენია და თქვენვე მოგეწყვებათ არა ლიტრაინით, არამედ კოდობით... ამ მოუწყობლობის შემოქმედნი იყვნენ მთელი რიგი პირებისა, რომლებთანაც თქვენ პლატონიურათ იყავით შეყვარებულნი.. როდესაც ჩვენა ვთხოულობდით ძველი პოლიციელის მაზრის კომისრის გადაყენებას—თქვენ „ისტერიკაში" სცვივდებოდით და იცავდით როგორც შეგეძლოთ. მას მხარს უმშვენებდნენ ისეთი სახელოვანი პიროვნებანი, როგორიც არიან: მაზრის კომისრის თანაშემწე ქ. ფირცხელაური, მილიციის უფროსი მ. მაყაშვილი, ყაზბეგის კომისარი ა. ფირცხელაური, ახალ-გორის კომისარი მიხეილ ცაგარელი და სხვანი. ყველა ესენი სოც.-ფედერალისტები არიან და ხალხისავე მოთხოვნით ან გადაყენებულნი არიან ან არა და მალე გადააყენებენ. მარტო მათი გახსენება სოფლებში აღშფოთებას იწვევს და აკვირვებს: როგორ მოახერხეს დემოკრატიულ რესპუბლიკის სამსახურში შეძვრენა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ თუმცა სხვადასხვა ფსევდონიმებით გვევლინება ამ უთვალავი წერილების ავტორი—მაინც იმალავს თავს და ამჟღავნებს, რომ ის ყოფილი მეწვრილმანე თუ ბაზაზია ქ. დუშეთისა, რომელმაც დაიქადა საზოგადო მოღვაწე გამოსულიყო, მაგრამ იაღლიშში მოვიდა და თავი შეირცხვინა. მართლაც, სად მეწვრილმანე და სად „ხმოსანი", სად არყანელი და სად ჟურნალისტი? „რა დავაბრალო ჯაგლაგსა ვერ მიჰყვეს ბედაურსაო"—ტყუილათ კი არ უთქვამს არჩილ მეფეს.

დ. თურდოსპირელი.

## ს.-დემ. პარტიაში

**თფილისის არსენალში.** 30 ნოემბერს მოწვეულ იქნა პარტიული კრება ს. დ. მ. პ. ადგილობრივ მუშების და მოსამსახურეების, რომელზედაც აირჩიეს მცირე კოლექტივის წევრები. ლ. მამალაძე, ბემლერი, ტერ გრიქუროვი, კოპალეიშვილი და მინოევი. კრების დახურვის შემდეგ არჩეულმა წევრებმა გამართეს კრება პრეზიდიუმის ასარჩევათ. თავჯდომარეთ აირჩიეს ლ. მამალაძე, თავმჯდომარის ამხან კ. კოპალეიშვილი, მდივნათ მოწვეულ იქნა ლ. ანთაძე.

ლ. ა.

## ფონდი

მივიღეთ ირაკლი შათირიშვილისაგან მისი გარდაცვალებულ მეუღლის მართა ტროფინეს ასულის ხსოვნის აღ ანიშნავათ გაზეთ „ერთობის" სახარგებლოდ 10 მან. ს. ვაკეჯვარის სამკითხველოსათვის 10 მ. ზედა ბახვის სამკითხველოსათვის 15 მან. ქვედა ბახვის ორკლასიანი შკოლისათვის 15 მან.


## განცხადებანი

გახსნილია
### კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი ხნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
### მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი
### ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
### ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ხელმძღვანელობით.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

კბილის ხაექიმო კაბინეთები
თევდორე ხაუვარელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე, ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

მედიცინის დოქტორი
### ა. გ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. [illegible] ტელ. № 49.

ექიმი
### კ. ტ. ლორთქიფანიძე
(ბაქოდან)
მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
ნაზერენის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

ექიმი ქალი
მ. ს. ძარუძის—გიგურიშვილი.
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებს, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ხიმშიაშვილის აფთიაქის გვერდით

### ყოფილი აგენტების საყურადღებოთ!
კანტორა „განათლება" უკანასკნელათ სთხოვს ყოფილ აგენტებს: მათზე დარჩენილი ვალი, დაუყონებლივ გადიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოცხადდება და ფულის ასაღებათ შესაფერი ზომები იქნება მიღებული.

### სახელმწიფო თეატრი
ოპერა.
კვირას 22 დეკემბერს
დილით მანდენოვას, იანსას, ხორინას, მოლჩანოვის, ინაევის, ისეცკის მონაწილეობით
„ევგენი ონეგინი"
საღამოთი. ალეშკოს, იანსას, ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით
რუსალკა
დასაწყისი საღ. 7 საათ.

### სახელმწიფო თეატრი „კავშირის" დასი.
წარ. № 6. ორშაბათს, 23 დეკემბერს წარ. № 6.
წარმოდგენილი იქნება მესამედ
### სინათლე
(პირველი ნაწილი) 3 მოქმ. 7 სურ.
წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე. მსახიობთა კავშირის დირექცია.
მზადდება: ანტიგონე, ტარიელ გოლუა.

### მუშტაიდი დემოკრატიული კლუბი მუშტაიდი
კვირას, 22 დეკ. 1918 წ. დ. კლ. არს. ქ. ხახ. წარ. მმ. წრე კვირას, 22 დეკ. 1918 წ.
მსახიობ პ. ფრანგიშვილის ბენეფისი
წარმოდგენილი იქნება ანდრიევის პიესა
### დღენი ჩვენი ცხოვრებისა
4 მოქმედებიანი
თარგ. ალ. იმედაშვილისა.
მონაწილეობს მთელი წრე. გლუხოვცევის როლს შეასრულებს მობენეფისე.
ბილეთების ფასი ყველასათვის ხელ მისაწდომია.
ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში 4 ს-დან 8 საათამდე.
დასაწყისი სრულ საღამოს 7 საათზე.
რეჟისორი პ. ფრანგიშვილი. ქართ. წარმ. მმარ. წრის გამგეობა.
ადმინისტრატორი ნ. მაჭავარიანი.

### საქართვ. ს.-დ. მუშ. პარტიის ცენტრ. კომ. და თფ. კომიტეტი
გადავიდა ახალ შენობაში, გოლოვინის პროსპექტი, სახლი არაქელოვისა № 24, მეორე სართული. ტელფ. 3—67

ამა წლის 29 აგვისტოს (ახ. სტილ.) ბელორეჩინსკაიას 9 ვერსით მოშორებულ სტანიცა ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაფსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს
### უკვალოდ დაიკარგა
1-ელ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი
დავით არონის ძე ელიზბულაშვილი.
ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს, დაჟინებით ვთხოვთ,
### ჯილდოს მიღებით
შეატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, არონ იაკობისძე ელიგულაშვილი. (12—6)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუსაძისა, გამეფის შესახვევი. № 1.